№ 34

27 ღვინობისთვე 1913 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

3 მან.

წლის დამლევამდე 60 კ.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მეორე

რედაქცია ღიაა 10—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი „კლდე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი:

1. ერობის მოლოდინში.— . . . . . ალ. ყიფშიძისა.
2. ქარაფშუტა იდეოლოგია.— . . . . ა—ისა.
3. ბოლიტიკური კრიზისი და სახ. სათათბირო.— . . . . გ. ნ—ისა.
4. კარგი ახალგაზრდის ხსოვნას.— . . . . დ. კახელისა.
5. შემოდგომა. - დექსი. . . . . ი. მჭედლიშვილისა.
6. მოხეული.—თარგ. ი. სონღულაშვილისა.
7. ორი იდეა.— . . . . რ. გაბაშვილისა.
8. უკანასკნელი ამბები.
9. ბრიფ. ბახმეტიევი.— . . . . . გ. ნამორაძისა.

ერობის მოლოდინში

ერობას არ გვაძლევენ, ალბად არ ემეტებათ ჩვენთვის ეს ნატვრის თვალი. უნდა ისევ ველოდოთ... დიდი დრო გაივლის ერობის მოლოდინში და არ მოგვცემენ საშუალებას ვიგემოთ ეს საუცხოო სამოთხის ხილი. ვიდრე, ალბად, არ დადგება ისეთი ხანა, როდესაც საშიშო აღარ იქნება ამ ხილის მოწყვეტა.

საერობო დაწესებულებანი არ არსებობენ საქართველოში, მაგრამ საერობო ხარჯები კი არსებობს. ხარჯების აკრეფას განაგებს ადმინისტრაცია. იგია მისი ავან-ჩავანი. თუ რას უნდა მოხმარდეს აკრეფილი ხარჯი, ამასაც ადმინისტრაცია სწყვეტავს. თუ როგორ იხარჯება ფული, ესეც ადმინისტრაციის გუნებაზეა დამოკიდებული.

ერთის სიტყვით, ადმინისტაციაა სრული ბატონ-პატრონი საერობო თანხისა, მისი ლალა და მზრუნველი. ჯერ-ჯერობით თვით ერი აღვიარებულია „ობლად" და „მცირე წლოვანად" და ადმინისტრაცია ამ ობლის მზრუნველ-პატრონად.

სახელმწიფო სათათბირომ შარშან მიაქცია ყურადღება ჩვენს „ობლობას" და „მცირე წლოვანებას" და შეიმუშავა კანონი, რომლის ძალით ერის წარმომადგენელსაც ეძლევა ხმა მეფის მოადგილის საბჭოში, საგუბერნიო და სამაზრო საკრებულოში, საერობო თანხების ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს. ეს კანონი დამტკიცდა **3 თიბათვეს, 1912 წელს.**

საერობო ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს მეფის მოადგ. საბჭ. მიწვეულ იქნებიან დღეიდან, დასახელებულ კანონის ძალით: ტფილისისა და ქუთაისის საგუბერნიო მარშლები, ყოველ გუბერნიდან

და ოლქიდან თითო წარმომადგენელი საერობო ხარჯის გამღებთაგან, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან, ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოსაგან და ტფილისის ქალაქის მოურავი. 3 თიბათვის კანონმა ეს ჩამოთვლილი კაცნი იცნო „ერის“ წარმომადგენელად და ესენი მიიღებენ მონაწილეობას მეფის მოადგილის საბჭოში. მოწვეულსა და მოპატიჟებულთა რაოდენობას დიდად აჭარბებს მოხელეთა რიცხვი, ასე რომ ხმის უმრავლესობით ესენი დასძალებენ მოწვეულთ. 3 თიბათვის კანონის დიდი სიკეთე ისაა, რომ იგი თხოულობს—ჟურნალში შეიტანონ ხოლმე უმცირესობის აზრიც. ამითი საშუალება ეძლევა სახელმწიფო სათათბიროს გაიგოს თუ რას ჰფიქრობს ერის წარმომადგენელი, რა ადგილობრივ საჭიროებას აღნუსხავს იგი, როგორ და რაზე იხარჯება საერობო თანხა და სხვა.

როგორც ჰხედავთ, ეს ერობა არ გახლავს, იგი **სუროგატია** ერობისა, მაგრამ რას ვიზამთ, უარარაობას ერთ უღელა ხარი სჯობიანო, ნათქვამია.

მეფის მოადგილის საბჭო მუშაობას დაიწყობს მომავალ იანვარში. საბჭო განიხილავს საერობო თანხის ხარჯ აღრიცხვას 1915—1917 წლებისას დიდი უხერხულობაა სამის წლით ხარჯის გაწერა, მაგრამ ამასაც არა ეშველებარა, რადგან ასეთია არსებული კანონი. ნორმალური ის იქნებოდა, რომ ყოველ წლიურად გაწერილიყო ხარჯი.

ხარჯთაღრიცხვა მომავალ სამის წლისა (1915 1917 წ.წ.) ჯერ არ არის შედგენილ-დაბეჭდილი. იგი იანვარზე ადრე არ იქნება. მეფის მოადგილის კანცელარია ვერ ასწრობს მის დაბეჭდვას დროიანად. ასანუსხია და დასაბეჭდი აუარებელი მასალა, ათასგვერდიანი ფოლიანტები. თითოეული გუბერნია და ოლქი დაწვრილებით ნუსხავს თვის გუბერნიის და ოლქის საერობო საჭიროებას, ასაბუთებს და თხოულობს ფულს მის დასაკმაყოფილებლად. აი ეს აუარებელი მასალა ღნდა შემუშავდეს მეფის მოადგილის კანცელარიაში, შესწორდეს, გაირანდოს, და შემოსავლის მიხედვით განაწილდეს საერობო თანხა გუბერნიათა და ოლქთა შორის. ესაა მიზეზი, რომ თავის დროზე ვერ იბეჭდება საერობო თანხის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა.

რას მოხმარდა დ დღესაც რას ხმარდება საერობო თანხა მიმდინარე სამს წელს (1912 – 1914 წ.წ.)? აი რას: § 1. მთავრობის დაწესებულებათა შესანახად წელიწადში 2.741,687 მან., ხოლო სამს წელიწადში 8.225,061 მან; *) § 2. საერობო მართვა-გამგეობის შესანახად: წელიწადში 39346 მ., ხოლო სამს წელიწადს—118038 მ; § 3. სატუსაღოების შესანახად: წელიწადში 160,177 მან., სამს წელიწადს - 480,531 მ.; § 4. ახალ გზებს, არსებულ გზების შეკეთებას—წელიწადში 1.329,111 მან., სამს წელიწადს—3.987,333 მან.; § 5. სახალხო განათლებას: წელიწადში – 737,762 მ., სამს წელიწადში 2.213,286 მან.; § 6. სამადლო საქმეს: წელიწადში—81,187 მან. სამს წელიწადს—243,561 მან.; § 7. საექიმო ნაწილს: წელიწადში —1.194,034 მ., ხოლო სამს წელიწადში—3.582,102 მან.; § 8. ვეტერინარიას—წელიწადში 74,495 მ., სამს წელიწადში -223,485 მ. § 9. ერის კეთილ დღეობას — (აგრონომიული დახმარება)—178,664 მ., სამს წელიწადში—535,992 მან.; § 10. სხვა და სხვა ხარჯი - სამს წელიწადში — 1.052,706 მან. და § 11. მოულოდნელი ხარჯი—სამს წელიწადში 420,000 მ. სულ გადადებულია მიმდინარე სამის წლისათვის **21.082,095 მან.**

ოცდა ერთი მილიონი მანათი ფული ხუმრობა საქმე არ არის. მისი სამართლიანად აკრება, მოვლა-პატრონობა და წესიერად დახარჯვა სწორედ რომ დიდი საქმეა. ერობა რომ იყვეს, ეს ფული ერის არჩეულ კაცების ხელში გაივლიდა და იმას მოხმარდებოდა, რაც უფრო უსაჭიროესია ერისათვის.

მაგრამ რაკი ერობა არა გვაქვს, იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ იმ სუროგატით, რასაც გვანიჭებს 3 თიბათვის 1912 წ. კანონი.

1914 წ. იანვარში შეიკრიბებიან ქ. ტფილისში კავკასიის გუბერნატორნი, მეფის მოადგილის საბჭოს წევრნი და ამორჩეულნი კაცნი და შეუდგებიან საერობო თანხის ხარჯთაღრიცხვის განხილვას მომავალ სამის წლისათვის (1915—1917 წ. წ.) იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ერის წარმომადგენელნი გულმხურვალედ მოეკიდებიან ამ ფრიად საყურადღებო საქმეს და შრომას არ დაზოგვენ მის საკეთილოდ დასამთავრებლად. ასეთი მუშაობა ეგზამენია იმისი, თუ რამდენად მომზადებული ვართ საერობო მოღვაწეობისთვის. ჩხავილს და უსუსურ ბავშვივით ტიტინს საბჭოში ადგილი არ ექნება, საჭიროა სერიოზული მომზადება, სერიოზული მუშაობა და სამოქალაქო და საერობო გამბედაობა. მხოლოდ ასეთს მუშაობას შეუძლიან „ნაყოფი ტკბილი გამოიღოს“.

*) სხვათა შორის საერობო დარაჯების შენახვა.

მაშ მიულოცოთ მომავალ მუშაკთ პირველი ნაბიჯი საეროვნო მუშაობისა და ვუსურვოთ გამარჯვება.

ალ. ყიფშიძე.

ქარაფშუტა იდეოლოგია

„ზაკავკაზსკაია რეჩში" იბეჭდება ფრიად საინტერესო წერილები ხიზანთა საკითხის შესახებ ბ. ან-ფარისა. ან-ფარის ფსევდონიმით წერილებს ბეჭდავს ცნობილი პუბლიცისტი, მცოდნე საკითხისა და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე საზოგადო სამსახურს მოანდომა და არას დროს არ ყოფილა მომხრე ვიწრო კლასობრივ ინტერესებისა. ეს იცის ყველამ და, რასაკვირველია, მისი დასაბუთებული აზრი ხიზანთა საკითხის შესახებ, თითქმის, კრიტიკის გარეშე სდგას. მაგრამ ჩვენში არიან ისეთი გულ-ნამცეცა პუბლიცისტები, რომლებიც ყოველ სერიოზულ საკითხის განხილვის დროს ჩიტებივით გულ გახეთქილნი წამოიშლებიან ხოლმე თავიანთ საბუდრებიდან და ქვეყანას აყრუებენ თავის ჟრიამულით. ასეთ მაგალითს წარმოადგენს ბ. არ. ჯა—შვილი, რომელმაც არც კი მოიცადა — დაემთავრებინა ავტორს თავისი წერილები და მთელი კრიტიკა ბ. ან-ფარისა მთავრობის კანონ-პროექტის შესახებ „სახალხო გაზეთში" სათავად-აზნაურო იდეოლოგიად მონათლა.

ერთის წუთითაც არ ვფიქრობთ იმას, რომ არ. ჯ—შვილს შეეძლოს თავის პრიმიტიულ ლოლიკით ბ. ან-ფარის ტეზისების უარყოფა. ამისთვის საჭიროა ღრმა ცოდნა ჯერ თვით საკამათო საგნისა და მერე უნარი ამ კამათისა. ღვთის მადლით, ბ. არ. ჯ—შვილს არც ერთი აქვს, არც მეორე და ამ მხრივ მისი უშნო და ულაზათო ფახი-ფუხი ღირსიც არ არის პასუხისა. მაგრამ არ. ჯ—შვილის წერილებში ბევრი რამ არის საყურადღებო, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ქართული პრესის ერთი ნაწილის მესვეურთა ზნე-ჩვეულებისა. საჭიროა, რომ მკითხველი საზოგადოება ჩაუკვირდეს ამ მოვლენას. უპირველესად უცნაურია ის, რომ ბ. არ. ჯ—შვილმა სავალდებულოთ გაიხადა ყველა რთულ საკითხზედ უსათუოდ თავის აზრის „გამოქვეყნება". სჩანს მისთვის კომპეტენციის საკითხი არ არსებობს! უცნაურია აგრეთვე ისიც, რომ ბ. არ. ჯ—შვილი ყველა დებულებას, რომელიც მის პრიმიტიულ მსჯელობის გარეშე სდგას, სათავად-აზნაურო იდეოლოგიად სთვლის და ეს მით უმეტეს მაშინ, როცა ერთი კუდა-აზნაური თვით ბ. არ. ჯ—შვილიც არის.

ყველასათვის ცხადია, რომ ხიზანთა საკითხის გადაწყვეტაში ჩვენ მარტო კლასობრივ ინტერესებით არა ვართ გატაცებული. ჩვენ გვაინტერესებს აგრეთვე ეროვნულ მიწათ მფლობელობის საკითხიც, რომელიც ვერაფრით ვერ შეუგნია ეროვნულ იდეის ისეთ „დარაჯს", როგორიც არის „სახალხო გაზეთი" და რომელიც ერთი ხანია, სწორედ ამ ხიზანთა საკითხზედ აშენებს თავის დემოკრატიულ და სოციალისტურ გახუნებულ კარიერას. არ. ჯ—შვილი ხიზანთა საკითხში ისე შორს წავიდა, რომ ერთ დროს ჩვენი აზრი ამ საკითხის შესახებ შოვინიზმადაც კი მონათლა და ყველა ეს ჩაიდინა იმ გაზეთის ფურცლებზედ, რომელიც კაი ხანია ქართული შოვინიზმის ათასჯერ გაუპატიურებულ მარიანად ითვლება. სახელდახელოდ დაწერილ საპასუხო წერილში არ. ჯ—შვილი სახელდახელო ლოლიკით და არგუმენტებით ებრძვის ბ. ან-ფარს და ჩვენ აქამდის ვერ შეგვიგნია, რა მოსატანია ლლოიდ ჯორჯის აგრარული რეფორმა იქ, სადაც საკითხი რუსის მთავრობის ნაციონალისტურ პოლიტიკას და ამით გამოწვეულ აგრარულ რეფორმას შეეხება. იქნებ ბ. არ. ჯ—შვილს ბატონი სტრელბიცკიც ლლოიდ ჯორჯი ჰგონია? თუ ასეა, ჩვენ მეტი არა დაგვრჩენია რა, რომ ინგლისის ლიბერალურ მთავრობას შეუთვალოთ: „აფსუს!".

უნდა ვსთქვათ, რომ არ. ჯ—შვილის ტეზისები არფრით განირჩევიან თ. ლლონტის იწილობიწილოსაგან, იმ თ. ლლონტის, რომელიც, აქვე ვიტყვით, თავის ერთ რედაქციიდან მეორე რედაქციაში ხეტიალით ისეთ უპრაგონო „კვარტირანტს" მოგვაგონებს, რომელიც ბინის ქირას არსად არ იხდის. ყველა ამის შემდეგ კამათი ასეთ პირებთან და ასეთ სერიოზულ საკითხებზედ, რასაკვირველია, შეუძლებლად მიგვაჩნია.

ხიზანთა საკითხი ჩვენთვის ერთი ურთულესი საკითხთაგანია, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტაზედ მომავალში ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამ საკითხში ჩანასკულია მრავალი სხვა რთული საკითხიც, რომელთა რაოდენობა და ხასიათი ჯერ აშკარად არა სჩანს, მაგრამ რომლებიც იმ წამსვე თავს წამოჰყოფენ, რა წამსაც იგი გადასწყდება. რაკი ასე უცქერით საკითხს. ვალდებულნი ვართ, ვიდრე ამ წერილს დავამთავრებდეთ, შემდეგის კითხვით

მივმართოთ ბ. არ. ჯ—შვილისთანა პოლიტიკოსებს და პუბლიცისტებს: სთვლიან, თუ არა, თავის თავს საკმაოდ მომზადებულად და შორს მხედველად, როცა ასე გააფრთებით ებრძვიან ჩვენს დასაბუთებულ აზრს და—კისრულობენ თუ არა აგრეთვე პასუხის მგებლობასაც ქვეყნის წინაშე, როცა ასე თავგამოდებით იცავენ მთავრობის კანონ-პროექტს ხიზანთა საკითხის შესახებ?

ვიდრე ამის პასუხს არ მოგვცემენ ჩვენ უფლება გვაქვს ყოველი მათი საუბარი პასუხის გებას მოკლებულ ლაქლაქად ჩავთვალოდ.

ა—ი.

პოლიტიკური კრიზისი და სახ. სათათბირო

კერძოდ ჩვენ ცხოვრებასა და საზოგადოდ მთელ რუსეთის ცხოვრებასაც რომ გადაავლოს თვალი, ბევრს არა საიმედო რასმე დაინახავს ადამიანი. გვეგონებათ, ჩვენი სამშობლოს და რუსეთის ცხოვრება სადღაც ჩაჩხირულა და გასავალი აღარსადა აქვს. მთელი ჩვენი პრესა და საზოგადოება ტერიტორიის საკითხს მისტირის, ხსნას კი თითქოს ვერა ხედავს. ასევეა მთელი რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის დაფასებაშიც. ჩვენ გვაქვს ვითომ პარლამენტალური დაწესებულება სახელმწიფო სათათბიროს სახით, მაგრამ მისი მოქმედება სრულიად არარაობას წარმოადგენს. და ამასვე ფიქრობენ თვით დეპუტატები. დაიწყო სახ. სათათბიროს სესია, და ყველა ისინი კი უიმედობით არიან შეპყრობილნი.

არც ერთს პარლამენტს არ შეუძლიან მუშაობა, თუ უმრავლესობა არ ემხრობა რომელიმე მიმართულებას, თუ არ არის მტკიცედ შემდგარი ცენტრი. არავითარ კონსტიტუციონურ—თუნდაც ეს სიტყვა ფრჩხილებში იყოს—მმართველობას არ შეუძლიან საპარლამენტო მუშაობა წაიყვანოს თავისი გზით, თუ შიგ არ ეყოლება მტკიცე მხარის დამჭერნი. ჩვენს სახელმწიფო სათათბიროში კი არაფერი არის ამგვარი. ბევრს ეცადნენ, შეედგინათ ამისთანა უმრავლესობა, ხან მარჯვნით იხრებოდნენ ოქტომბრისტები და ხან მარცხნით, მაგრამ ვერ იქნა, ვერაფერი მოაგვარეს.

უმრავლესობის უყოლობის გარდა, არის კიდევ მეორე პოლიტიკური კრიზისიც, რომელსაც ეხლა განიცდის რუსეთი, და რომელსაც უფრო მეტი დეზორგანიზაცია შეაქვს სათათბიროს მუშაობაში ეს არის მინისტერთა გაფიცვა—მინისტრები უარზედ არიან სათათბიროში მივიდნენ, მინისტრები არ აძლევენ საჭირო მასალებს—მაშ როგორღა უნდა სწარმოებდეს სათათბიროში ნაყოფიერი მუშაობა? ამგვარ მდგომარეობაში კანონმდებლობა გაუქმებულია თითქო და საჭირო კია გამოსავალი.

მერე სად არის ეს გამოსავალი?

პარლამენტალურ სახელმწიფოებში ამისთანა კრიზისის დროს ან მინისტრები იცვლებიან, ან მინისტერთა საბჭო მთელს ხალხს მიმართავს ხოლმე. ჩვენი ბიუროკრატია, რასაკვირველია, არც ერთს ამ საშუალებას არ მიმართავს, იმას კარგად ესმის რომ სათათბიროსა და მინისტერთ შორის კონფლიქტი მარკოვ. II შემთხვევით წამოყვირილს არ შეუქმნია, იმან იცის აგრეთვე რომ უმრავლესობის უყოლობა უფრო სხვა ვრცელი საზოგადო მიზეზების ბრალია. 3 ივნისის სათათბირო თავისი წარმომადგენლობის მთელი განსაზღვრული მნიშვნელობით, ცხადია, მხოლოდ ხატავს იმ მიმდინარეობას, რომელიც უფრო მკაფიოდ ტრიალებს მთელს სახელმწიფოში, და დიდი გაბედულობა იქნებოდა იმის მხრივ, რომ ამისთანა დროს ხალხზედ გადაეტანა თავის აპელაცია.

რასაკვირველია, პარლამენტის დათხოვნა თავის თავად ვერა სპობს პოლიტიკურს კრიზისს, მით უფრო ისეთ კრიზისს, როგორსაც ეხლა განიცდის რუსეთი; მაგრამ ის უპირატესობა აქვს, რომ საუკეთესო შეძლებას აძლევს ხალხის პოლიტიკური მისწრაფება გაიგოს, მაგრამ ამას რა სარგებლობა ექმნებოდა ბიუროკრატიისთვის. და ამის გამო პოლიტიკური კრიზისი ასე მწვავე სახეს იღებს, ამის გამო შემდგარი კონიუნკტურა ასე გამოუსვლელადაც ჩნდება. ბიუროკრატიას ეშინიან მიმართოს ჩვეულებრივ კონსტიტუციონურ საშუალებებს, და ამით უფრო მტკიცე ხაზს ავლებს, როგორი არა ჩვეულებრივი სიდარიბე და სიმწვავე აქვს კრიზისს, რომელსაც ეხლა განვიცდით, თუმცა მის უფრო შორს მჭვრეტელ წარმომადგენელთ კი უეჭველია ესმით, რომ მხოლოდ ექსტრა—ორდინალურ ზომებს შეუძლიანთ გამოიყვანონ რუსეთი შემდეგი პოლიტიკური განვითარების გზაზედ, მაგრამ ამ გვარი ზომების მისაღებად ძალა არ შესწევთ. სათათბიროს ხელმძღვანელი პარტიებიც რასაკვირველია

ულონონი არიან ამ გვარი კითხვის გადაჭრაში. 3 ივნისის სათათბიროს იმედი დიდი არც უწინ იყო, მაგრამ ეხლა ჩვენთვის იგი სრულიად უიმედო უნდა იყოს.

გ. ნ.

კარგი ახალგაზრდის ხსოვნას

ამ ცოტახანში მიწას მიაბარეს ახალგაზრდა იურისტი რევაზ ყანჩელი. მისმა უდროოდ სიკვდილმა ბევრი მისი ნაცნობი და მეგობარი დააღონა. მეტად დააღონა ჩვენი ჟურნალის წრეც, რომლის მუშაობას განსვენებული რეზო ყანჩელი თანაუგრძნობდა და მის იდეურ მონაწილედ ითვლებოდა. განათლებულ ახალგაზრდებში რევაზ ყანჩელი ყოველთვის იდეურ და მოწინავე ახალგაზრდათა რიგში იმყოფებოდა. 1901 წელს, სტუდენტა მოძრაობის დროს იგი სხვებთან ერთად, მინისტრ ვანოვსკის ბრძანებით, დასჯილი იყო და სალდათად გაგზავნილი. განთავისუფლებული სასჯელისაგან, რ. ყანჩელი დაბრუნდა უნივერსიტეტში და აქ ქართულ სტუდენტთა იდეურ ცხოვრებაში ეხურვალე მონაწილეობას იღებდა. სხვათა შორის არჩილ ჯორჯაძისა, ვლ. ლორთქიფანიძისა და სხვა ინტელიგენტთა მიერ 1901 წ. საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილეის ცნობილი მოწოდება იმან წაიღო ლევ ტოლსტოის. საგანმათავისუფლებო მოძრაობაში რ. ყანჩელი მხურვალე მონაწილეობას იღებდა, რისთვისაც ჯერ ისევ 1904 წელს იგი დაატუსაღეს ს. კოდაში. ქ. კიევში, სადაც იგი უნივერსიტეტში სწავლობდა, ყოველთვის პირველი იყო ყოველ ქართულს საქმეში. მას მთელი ოთხი წელიწადი ებარა ქართველ სტ. სათვისტომოს საქმეები და ბიბლიოთეკა, და ერთი ინიციატორთაგანი იყო პრივ. დოც. განის ინციდენტის მიერ გამოწვეულ საწინააღმდეგო პროტესტისა, როდესაც ბ. განმა ჩვენი ეროვნული სიწმინდე თამარ მეფე თავისი ქუჩური მეცნიერებით შელახა. როგორც ადამიანი რ. ყანჩელი მეტად პატიოსანი, კეთილი და მომხიბლავი იყო. სადაც კი შედიოდა, ყველგან სიხარული შეჰქონდა. შეჭმუხული შუბლი იხსნებოდა და თქვენი გული მის შემოტანილ სიამოვნებით ივსებოდა.

„ხალხო! ნუ სტირით, გეყოფათ წუწუნი და გოდება... შეხედეთ ჩვენი სამშობლოს ლამაზ ბუნებას და ხალხს. არც დაგვიკარგავს, რც დავკარგავთ მას“ ამხნევებდა ხოლმე განსვენებული თავის პესიმისტ მეგობრებს.

ძნელია, მეტად ძნელია ჩვენისთანა დაწყევლილ დროს ამისთანა ახალგაზრდის დაკარგვა. და ეს გრძნობა ნათლად გამოხატა ქართველმა ინტელიგენციამ, როდესაც მთელი თავისი შემადგენელობით რეზო ყანჩელის დასაფლავებას დეესწრო და ამით გულწრფელი პატივისცა კაი ახალგაზრდის ხსოვნას.

დ. კახელი.

შემოდგომა

აი, დაჭლექდა მწვანე სამეფო,
გაყვითლებული ფოთლები ცვივა,
სისინებს სიო, ტყის ტანთ გამხდელი
და გული მიკრთის... გულზედა მცივა.
მზეც დამავალი ტყიან მწვერვალებს
უკანასკნელად ამბორსა ჰპარავს,
მიდის ზაფხული და დედამიწას
გაყვითლებული ღიმილი ჰფარავს...
მე ვიტირებდი, რო მქონდეს ცრემლი
ამა სურათით დაღონებულსა:
მე ეს ბუნება მაგონებს, ბედკრულს,
წარსულს მეგობარს და სიყვარულსა.
გახსოვს, ლამაზო, დრო განშორების,
უკანასკნელი ოხვრა და კვნესა?—
მაშინ შენ ჰგვანდი მიმავალ ზაფხულს
და მე ფერმიხდილს, ნაღვლიანს ტყესა!

ი. მჭედლიშვილი.

მ ო ხ ე ლ ე

(ბლასკო იბანიესისა).

(დასასრული)

— მაპატიეთ, —სთქვა მოსულმა და დაჯდა. — შეგაწუხეთ კია, მაგრამ, რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის. აქ მე ღამის მატარებლით მოვედი და ესენი კი ღამის გასატარებლად ვირთაგვებით სავსე ხუხულას მაძლევენ. ღირდა კია აუტკივარი თავის ატკივება!

— თქვენ პატიმარი ხართ?

— ამ წუთას დიახ, —სთქვა ღიმილით სტუმარმა, —მაგრამ ცოტა ხნობით, ისე რომ თავს არ მოგაბეზრებთ ჩემი აქ ყოფნით.

გაბღინძული ადამიანი თავს ისე იმკრობდა და იღრიჯებოდა, გეგონებოდა, ბოდიშს იხდის, რომ საპყრობილეში შემოიჭრაო.

იანიესი დაჟინებით უცქეროდა. ასე თავისი თავის დამკრობა ადამიანისაგან საეჭვოდ მიაჩნდა. ვინ უნდა იყოს ესაო! ამბობდა. მის თავში გამოურკვეველი აზრები ირეოდნენ, ემატებოდნენ ერთმანეთს და ერთიან სახეს იღებდნენ.

როცა შორიდან ტყვის სევდიანი ლოცვა ისევ მოისმა, ჟურნალისტი, თითქოს რაღაც ბუნდოვანმა აზრმა გაუელვა თავშიო, შეკრთა და მიაქცია თვალი პარკსა, რომელიც ახლად მოსულის ფეხთით იჯდა.

— რა გაქვთ მაგაში? იარაღი?

შემოხიზნულმა, ცოტა არ იყოს, ყოყმანი დაიწყო, მაგრამ გადაჭრით მიცემულ კითხვას ვერ აუხვია და თავი დაუქნია. ხანგრძლივი აუტანელი სიჩუმე ჩამოვარდა...

ტუსაღებმა ტახტი შემოიტანეს. იანიესი ისევ მიაჩერდა ერთი ღამის ამხანაგს, რომელიც თავჩაქინდრული იჯდა და მაღლა ვერ აეხედნა: როგორღაც ერიდებოდა.

ტუსაღებმა ტახტი საკანის კუთხეში მოათავსეს და გავიდნენ. ზედამხედველმა კიდევ გარედან კარები გადაკეტა. აუტანელ სიჩუმეს ბოლო არა ჰქონდა. როგორც იყო შემოხიზნულმა თავს ძალა დაატანა და დაილაპარაკა.

— მე მხოლოდ დღეს შეგაწუხებთ, ჩემი ბრალი არ არის; ეს იმათ მომიყვანეს აქა. მე უარს ვიყავი, ვიცოდი, რომ თქვენ რიგიანი ადამიანი იყავით და ჩემი თქვენთან ყოფნა შედარებით მასთან, რაც აქ გამოგიცდიათ, თქვენ უსაზღვრელეს რამედ მოგეჩვენებოდათ.

— არა უშავს რა, სენიორ, მე ყველაფერს შევეჩვიე, —სთქვა ირონიით იანიესმა, —აქ ასეთი შეხვედრა ხშირია, ისე რომ, ერთით მეტი იქნება, თუ ერთით ნაკლები, ჩემთვის სულ ერთია. ამასთანავე არა სჩანს, რომ თქვენ ძალიან ცუდი კაცი იყოთ, როდი **მგვრით** აგეთ შთაბეჭდილებას.

ჟურნალისტი რომანტიულ ლიტერატურის გავლენისაგან ჯერ კიდევ თავისუფალი არ იყო და ეს შეხვედრა ძალიან საინტერესოდ მიაჩნდა, ცოტა არ იყოს კმაყოფილიც იყო ამითი.

— მე ბარსელონაში ვსცხოვრობ, —განაგრძო ბებრუცუნამ, —მაგრამ ჩემი თანაშემწე, რომელიც ამ არე-მარეში იმყოფებოდა, ამ ცოტა ხანში ლოთობისაგან გარდაიცვალა... გუშინ, როცა აუდიენსიაში*) მივედი, ერთი ალგვაზილი მეუბნებოდა: ,,ნიკომედ''... მე ხომ ნიკომედ ტერრუნიო ვარ; განა ჩემზე არა იცით რა? ჩემი სახელი ხშირად იყო ნახსენები ბეჭდვით სიტყვაში.

ასე: ,,ნიკომედ'', ,,სენიორი პრეზიდენტი გიბრძანებთ ღამის მატარებლით გაემგზავროთ''. მეგონა, სასტუმროში ვიცხოვრებ სანამ სამუშაოდ წამიყვანენ-მეთქი, ის კი არა და რაღაც შიშისა და სიფრთხილის გამო სადგურიდან პირდაპირ აქ მომიყვანეს. თითქოს დამცინიანო, ვირთაგვებთან მომათავსეს. აი, ხომ ხედავთ: განა შეიძლება ამრიგად მოექცნენ მართლ-მსაჯულობის უწყების მოხელეს?

— დიდი ხანია, რაც მსახურობთ?

— ოცდა ათი წელიწადია. ჯერ ისევ იზაბელა მე-II ცოცხალი იყო, როცა მე ჩემი სამსახური ვიშოვე. ყველაზე დიდი ხნისა ჩემ ამხანაგებში მე ვარ და ჩემ სიაში პოლიტიკურებიც კი არიან აღნიშნულნი. ამაყად შეძიძლიან ვსთქვა, რომ ჩემ მოვალეობას მუდამ სინდისიერად ვასრულებდი. ეხლა ეს ას-მეორე იქნება. ბევრია, არა? ყველას კარგა ვეკიდებოდი. ვერავინ დამემდურება. ხშირად თავზე ხელაღებულ დამნაშავესაც რომ დაუნახივარ თავის უკანასკნელ წუთების დროს, ისიც კი დაწყნარებულა და უთქვამს: ნიკომედ, კმაყოფილი ვარ, შენ რომ ხარო.

,,მოხელე'' გამოცოცხლდა, რა კი დაინახა, რომ იანიესი ცნობის მოყვარეობით და ყურადღებით უსმენდა. ეხლა კი ფეხ-ქვეშ ნიადაგსა ჰგრძნობდა და გაცილებით თავისუფლად ლაპარაკობდა.

*) უმაღლესი სასამართლო.

— მე ცოტა გამომგონიც კი ვარ, — ამბობდა ნიკომედი. ყველა აპარატებს მე თვითონ ვაკეთებ, ხელის სისუფთავე ხომ უკეთესი ნუღარ გინდაღ. იქნება ინებოთ და ნახოთ?

ჟურნალისტი მოშხამულივით წამოვარდა ლოგინიდან.

— არა, გმადლობთ. ისეც მჯერა თქვენი სიტყვა. იანიესი ზიზღით უცქეროდა ნიკომედის ჩასუქებულსა და წითელგულა ხელებს, რომლებსაც ალბად იმ სისუფთავის კვალი ემჩნეოდა ზედა, მათი პატრონი რომ ამბობდა. იანიესს კი ასე ეგონა, ნიკომედის ხელები ადამიანის ქონითა და იმ პირთ ჭირის ოფლით არის გაჟღენთილი, რომლებიც იმის „სიაში“ არიან აღნიშნულნიო.

— მერე თქვენ... კმაყოფილი ხართ თქვენი ხელობით? — შეეკითხა იანიესი რომ აეცილებინა თავიდან ლაპარაკი გამოგონებებზე, რომლითაც ნიკომედს თავი მოჰქონდა.

— რას იზამ! ადამიანი ყველაფერს ურიგდება. იმითი და ვინუგეშებ თავსა, რომ სამუშაო სულ ცოტავდება და ცოტავდება. მერე, რა არამი ლუკმაა, რომ იცოდეთ!

ნიკომედი გაჩუმდა და თავის ფეხებს დაუწყო ცქერა.

— ბედი არა მწყალობს, — განაგრძო ისევ. — ბევრჯელ მინახავს თეატრში კომედიები წარმოუდგენიათ უწინდელი მკფე, რომელსაც ყოველთვის წითელ ტანისამოსში გამოწყობილი და ყელზე ჯვარ ჩამოგდებული მართლმსაჯულობის აღმსრულებელი დაჰყავს თანა და თავის მეგობრადა და მრჩეველად სთვლის. ეს ლოღიკური მაინც არის! მე მგონია, რომ ის, ვისაც სისრულეში მოჰყავს განაჩენი, პატივის ცემის ღირსია. მაგრამ ეხლანდელ დროში პირმოთნეობის მეტი არა კეთდებარა. იქ პროკურორი თავს იწუხებს და რაღაც საგულისხმიერო მოსაზრებისათვისა დამნაშავის სიკვდილით დასჯას თხოულობს და ყველაც ეთანხმება. მივდივარ მე ბრძანების ასასრულებლად და პირში მაფურთხებენ, შეურაცხყოფას მაყენებენ. მითხარით ერთი, სად არის აქ სამართალი? რამდენჯერ შევსულვარ ტრახტირში და მაშინვე პანღურ ამოკრული წამოვსულვარ, როცა კი გაუგიათ ჩემი ვინაობა. ქუჩაში ყველა ზურგს მაქცევს, აუდიენსიაშიც კი მათახსირებენ, თითქოს მეც ისეთივე თანამდებობის პირი არ ვიყო, როგორც ისინი, თითქოს ჩემი ჯამაგირი არ იყოს შეტანილი საერთო ხარჯში... ყველა ჩემი წინააღმდეგია! სხვა მტრები... სხვანი! იცით აი ისინი, რომ წავიდნენ მოუსავლეთში, მაგრამ მაინც კიდევ ბრუნდებიან. ის უბედურები (ასამდე არიან), რომლებსაც ისე ალერსიანად ვექცეოდი, როგორც მამა, რომლებისათვისაც, როგორც — მშობელი, ვცდილობდი ნაკლები ტკივილები მიმეყენებინა, უმადურად მექცევიან და მეცხადებიან, მარტოკა დამინახავენ თუ არა.

— როგორ? გეცხადებიან!

— ყოველ ღამე. ზოგნი, მეტადრე უკანასკნელები, ასე მგონია, ჩემი მეგობრები არიან მეთქი; მაგრამ წინანდელები, პირველი ხანებისა, როცა მე კიდევ ვღელავდი და ვცახცახებდი, — ნამდვილი ეშმაკები არიან.

დავრჩები თუ არა ბნელში, გაუთავებლად დასეირნობენ რიგ რიგად ჩემ მკერდზე, მაწვებიან, მახრჩობენ და სუდარით ეხებიან ჩემ სახეს. საცა კი მივდივარ, ყველგან მომდევენ; მეტადრე ეხლა, როცა დავბერდი, მოსვენება აღარა მაქვს: მოდიან და მოდიან მნახველებივით. მომათავსეს თუ არა აქ აი რაღაც სორო-ოთახში, მაშინვე ყველამ თავი წამოყო ბნელ კუთხეებიდან. აი რატომ მოვითხოვე ექიმი. ავად ვიყავი, ღამისა მეშინოდა; სინათლე და ადამიანების საზოგადოება მინდოდა.

— თქვენ ყოველთვის მარტოკა ხართ?

— არა, ბარსელონაში ოჯახი მყავს. ჩემი სახლი ქალაქ გარეთა დგას; ჩემი ოჯახი: ერთი ძაღლია, სამი კატა და რვა ქათამი. მე ისენი უსიამოვნობას როდი მაყენებენ. ხალხის ლაპარაკი არ ესმით და ისე პატივსა მცემენ და სიყვარულით მექცევიან, როგორც სხვა ადამიანებს. წყნარად ატარებენ თავიანთ სიცოცხლეს ჩემ გვერდით, მე ჩემ დღეში ერთი ქათამიც არ დამიკლავს: სისხლის ცახვა არ შეიძლიან.

ნიკომედი ყველა ამას წინანდებური დაღონებული კილოთი ამბობდა, მთლად გულდაწყვეტილი და მოდუნებული იყო, თითქოს უბედური გრძნობდა თავის საკუთარ არარაობას.

— ნამდვილი ოჯახი კი არა დროსა გყოლიათ?

— როგორ არა, მყავდა. ყველაფერ გიამბობთ თქვენა. კარგა ხანია, არ მილაპარაკნია! ცოლი ამ ექვსი წლის წინეთ მომიკვდა. არ გეგონოთ კია, რომ ის ისეთი ლოთი ვინმე ყოფილიყოს, როგორც ყოველთვის ჯალათის მეუღლეს ხატავენ ხოლმე რომანებში. არა მე ქალი ჩვენ სოფელში ავირჩიე ცოლად, როცა ჯარიდან დავბრუნდი; ჯერ ვაჟი გაგვიჩნდა და მერე ქალი; პური ცოტა გვქონდა და ძალიან გვიჭირდა. იცით რა

გითხრათ? ჩემმა ახალგაზრდობამა და უხეშმა ხასიათმა მომატეხინა კისერი და ამ სამსახურამდე მიმიყვანა. თქვენა გგონიათ ადაილად მერგო ეს სამსახური? არა, ბევრი თავში ცემა დამჭირდა. თავდაპირველად მწყინდა, როცა ხალხი მძულვარებით მიცქეროდა. მეტის-მეტი ამაყი ვიყავი და არ მეგონა რომ ვისმეში შიშსა და ზიზღს გამოვიწვევდი. სხვა და სხვა სასამართლოებში მიხდებოდა მუშაობა. მე და ჩემმა ცოლმა ნახევარი ისპანია მოვიარეთ. ჩვენი ბავშვები კიდევ იზრდებოდნენ და კეთდებოდნენ. ბოლოს ბარსელონაში დავსახლდით. ეს საუკეთესო ხანა იყო ჩემ სიცოცხლეში: ხუთი თუ ექვსი წელიწადი არაფერი სამუშაო მქონია. შექუჩებული ფულებით პატარა სახლი ვიყიდე ქალაქის განაპირას, და მეზობლები აუდიენსიის სანდომიან მოხელეს, ნიკომედს, პატივისცემით ეპყრობოდნენ. ჩვენი მორიდებული ერთგული, შრომის მოყვარე ბიჭუნა ერთ სავაჭრო სახლში მსახურებდა. ქალი (რა ვნანობ, რომ ეხლა იმისი სურათი თან არა მაქვს) ანგელოზივით კარგი იყო, ლურჯი თვალები და სხვილი ქერა ნაწნავი ჰქონდა. როცა ჩვენ პატარა ბაღში დასეირნობდა, ოპერის ლამაზ ქალებს მოგაგონებდათ. როცა კი დედას გაჰყვებოდა ხოლმე ბარსელონაში, მთელი გროვა ახალგაზრდობისა ედევნებოდა. ჩინებული ახალგაზრდა საქრმო ჰყავდა, საექიმო ნაწილის სტუდენტი იყო. საქმის გადაწყვეტა თვით ჩემ ქალსა და ჩემ ცოლს მივანდე, მე არ ვერეოდი. ჩემ ავტორიტეტულ სიტყვას ბოლო მომენტისთვის ვინახამდი. ღმერთო! რა ბედნიერები ვიყავით!

ნიკომედს ხმა უფრო და უფრო აუკანკალდა; ლურჯი თვალები ჩაუმუქდნენ. მართალია არა ტიროდა, მაგრამ მთელი ტანი კი უცახცახებდა ბავშვისავით, რომელიც ძლივს-ძლიობით იკავებს ხოლმე ტირილს.

— ბოლოს ერთ რომელიღაც ყაჩაღს აკი ღმერთი არ გაუწყრა და მოჰყვა მახეში! სიკვდილი მიუსაჯეს და მე ჩემი მოვალეობა უნდა შემესრულებინა, თუმცა დავიწყებული მქონდა კიდეც, რა სამსახურშიც ვიყავი. რა დღე იყო! ნახევარმა ქალაქმა მიცნო, როცა მე ეშაფოტზე ვიდექი. ჟურნალისტებმა (ესენი ხომ, მაპატიეთ, რომ ამას ვამბობ, შავ ჭირზე უარესები არიან!) სულ მისხლივ-მისხლივ გაარჩიეს ჩემი ცხოვრება; თითქოს რაღაც იშვიათი ნადირები ვყოფილიყავით, ისე აგვწერეს მე და ჩემი ოჯახი. განსაკუთრებით იმას აღნიშნავდნენ, რომ ჩვენ გარეგნულად რიგიან ხალხსა ვგავდით. საქვეყნოდ გაგვხადეს. მეზობლები, როცა დამინახავდნენ ხოლმე, კარებს და ფანჯრებს ხურავდნენ. მართალია ქალაქი დიდი იყო, მაგრამ ქუჩაში მაინც ყველანი მცნობდნენ და შეურაცხყოფას მაყენებდნენ. ერთხელ, როცა ხალხში დავბრუნდი ცოლი მთლად გადარეული დამხვდა. ქალი! ქალი კი ლოგინში იწვა: სახე დაჰპრანჭოდა და მწვანე ფერი დასდებოდა; ენაზე თეთრი ლაქები ემჩნეოდა. ფოსფორით მოეწამლა თავი. რამდენიმე საათი საშინლად იტანჯებოდა, მაგრამ, რომ დროზე არ მიშველონო, ხმას არ იღებდა... ვერც უშველონო. მეორე დღეს გარდაიცვალა საწყალი. სულით და გულით უყვარდა მედიკი, რომელიც წერილით უარს ეუბნებოდა ქმრობაზე. გავიგე ვისი შვილიცა ხარო — სწერდა. მე თვითონ წავიკითხე წერილი. მე არ მიტირნია ჩემი ქალი. სადა მქონდა ამისათვის დრო? ყველაფერი მეღუპებოდა; ყოველ მხრიდან უბედურება მატყდებოდა თავსა და მყუდრო ბინას, რომელიც ჩვენ ჩვენთვის შევქმენით ჭაჭა-ჭუჭი გაჰქონდა. შვილი სამსახურიდან გამომიგდეს. ვინღა იყოლიებდა იმას ადგილზე! ვინ მოისურვებდა ჯალათის შვილთან კავშირს! უბედურს განა შეეძლო, სანამ ქვეყნად დაიბადებოდა, მანამდე აერჩია თავისთვის მამა? იმ საწყალს რა დანაშაულობა ჰქონდა? მთელი დღე სულ შინ იყო, ხალხს მოშორებული, ბაღის რომელიმე კუთხეში, დაღონებული და დაფიქრებული... „რაზე ფიქრობ —მეთქი, ანტონიო?‘‘ ვეკითხებოდი. ჩემ და ანიტაზე, მამაო! საწყალი, მატყუებდა. თავის თავზე ფიქრობდა და ჩვენზე, რომლებმაც სასტიკი შეცდომა ჩავიდინეთ მაშინ, როცა დროებით ვეტოლებოდით სხვებსა და ვბედავდით ბედნიერებაზე ოცნებასა... საშინელი და აუტანელი რამ იყო ელდა. ანტონიო გაქრა.

— მერე, თქვენ შვილზე აღარაფერი გაგიგიათ? ჰკითხა იანიესმა, რომელიც დაინტერესდა საშინელი ამბავით!

— ოთხი დღის შემდეგ გავიგე. ბარსელონას ახლოს იპოვეს მისი გასივებული და გახრწნილი გვამი, რომელიც ბადეს მოჰყოლოდა... ეხლა თქვენ თვითონ ადვილად მიხვდებით, შემდეგში, რაც მოხდა. მალე ჩემი ცოლიც თან გადაჰყვა შვილებს. მე და დავრჩი გაქვავებულივით სრულიად მარტოდ-მარტო... ღვინომაც კი ვერ მანუგეშა: როცა ვითვრები, ისინი მოდიან, ჩემი მდევნელები, შავსუდარიანები, უშველებელ ყორნებს მიაგვანან, ჭკუაზე მშლიან... მე კი როდი მძულან ისინი. უბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღურები! თითქმის ტირილი მომდის, როცა იმათ ვხედავ. როდი რამ დაუშავებიათ იმათ ჩემთვის. ოჰ! ნეტავი ყველა იმ უცნობებს, რომლებმაც თავის ზიზღით და სიმძულვარით ოჯახი დამიღუპეს, ერთი კისერი ებათ და მე გადმომცენ და მაშინ ნახავთ, რა სიამოვნებით წავახრჩობ!..

უცბად, წამოიჭრა ზეზე, მორთო ყვირილი მომუჭა ხელები და დაუწყო თავის ჭკუაში ვითომ-და თოკს წევა. სადღა იყო წინანდებური პატარა გაბღინძული, მორიდებული და სევდიანი ადამიანი! თვალებში სისხლის წვეთების მსგავსი წითელი ნაპერწკლები უბჭყვრიალებდა; ულვაშები აებურძგნა; თითქოს ტანიც გაეზარდაო, გეგონებოდა, გარეული ნადირი სთვლემდა ამ კაცშიო, ეხლა გამოერკვია და ძალიან გაჭიმა თავისი ქერქიო.

საპყრობილეში გარს სიწყნარე სუფევდა. მხოლოდ ჯურღმულიდან ღა ისმოდა მკაფიოდ სევდიანი მურმური: „მა...მაო...ჩვენო...რო...მელი ხარ ...კათა...შინა.“

ნიკომედი გააფთრებული დარბოდა საკანში და აზანზარებდა მთელ იატაკსა, რომელიც მის საბრალო მსხვერპლს თავს ჭერად ეხურა. უცბად ნიკომედი შესდგა და ყური დაუგდო გაჭიანურებულ გალობას.

— ეს უბედური როგორ გულსაკლავად მოსთქვამს,—წაიჩურჩულა თავისთვის.—ის კი არ იცის, რომ მე აქა ვარ, იმის ზევით!

დაჯდა, სული მოიბრუნა, დიდხანს იყო გაჩუმებული. ხმა მანამ არ ამოიღო, სანამ აზრთა ტრიალმა და გულში ამოძრავებულმა პროტესტმა არ ალაპარაკა ისევ.

— ხომ ხედავთ,ვიცი,რომ ცუდი კაცი ვარ და ხალხი უნდა ზიზღით მიცქეროდეს.მაგრამ მე ეს ულოღიკობა მაღელვებს. თუ ის, რასაც მე ვაკეთებ, დანაშაულობაა, გადააგდონ სიკვდილით სასჯელი და მაშინ მე ძალღივით სული ამომძვრება სიმშილისაგან სადმე ღობის ძირში. სიკვდილით სასჯელი კაი ხალხის მშვიდობიანობისათვის არის საჭირო, მე რაღად ვძულვარ ყველას. ბრალმდებელი რომელიც დამნაშავის სიკვდილით დასჯას მოითხოვს ხოლმე, ვერაფერს გააკეთებდა უჩემოდ, უალმსრულებლოდ. ჩვენ ყველანი ერთი და იმავე თვლის სოლები ვართ და, ღმერთო შენ გვიწყალე! ერთნაირი პატივისცემის ღირსნიცა ვართ, რადგან, აი უკვე ოცდა ათი წელიწადია, რაც მე მოხელე ვარ.

ირ. სონღულაშვილი.

(((

რომელზედაც იხარჯება 10-15 ათასი მანეთი, არ არის არც ერთი ძროხა, არც ერთი სკა, არ არის პანსიონი შეგირდებისათვის და საცოდავად სხვა და სხვა სოფლის გლეხ-კაცებში გაფანტული შეგირდები ზამთარ-ზაფხულ ეწვალებიან სკოლაში სირბილით და ნახევარზედ მშიერნი არიან.

საზოგადოებამ დიდის აღტაცებით და ზეიმით იდღესასწაულა 30 წლის იუბილეი ამ სკოლისა, და ჩვენც გულწრფელად უერთდებით მისი დამაარსებელის უზომო შრომის დაფასებას, მაგრამ თვით ნაყოფი ამ შრომისა, სამეურნეო სასწავლებელი საუგეშოს ვერაფერს წარმოადგენს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სკოლის ცუდ მხარეებში წილი უდევს არა მარტო თვით ილია წინამძღვარიშვილის, არამედ საზოგადოებასაც, რომელსაც არასოდეს საკმარისი გამბედაობა არა ჰქონია, ეთქვა პატიოსან მშრომელისათვის, და მიეთითებია იმის ნაკლზედ. უეჭველია ყველა ისე უყურებდა ამ სკოლას, როგორც ილიას **კერძო საქმეს** და არა სცნობდა თავის თავს მოვალედ საქმეში ჩარევისათვის. თორემ რით აიხსნება ის გარემოება, რომ თურმე სკოლას დიდი წიგნი აქვს, საცა ხელი უწერია თითქმის ყველა ქართველ საზოგადო მოღვაწეს და გამოთქმული კმაყოფილება. 30 წლის შრომამ, 30 წლის განმავლობაში დახარჯულმა ფულმა შეჰქმნა მხოლოდ გარეგნული სილამაზე შენობებისა და არაფერი გაუკეთებია თვით სამეურნეო მხარისათვის. რამდენიმე სახელოსნო, სადურგლო, სამჭედლო და სხ. თუ არ ჩამოუვარდება, არ ემჯობინება სოფლურ სახელოსნოებს და პირველად რომ შევედი საზეინკლო სამჭედლოში, სადაც ზემო ქანდარაზე იჯდა ინდაურის ჭუკი—ნამდვილი ჭუკი—ნამდვილი სიმბოლო აქაურობისა.

ვერ წარმომედგინა თუ რა იყო მიზეზი ასეთის უნაყოფობისა და დაინტერესებულმა გამოვკითხე ბევრსა, წინანდელ თუ აწინდელ მასწავლებელთ. მოსამსახურეთ და სხ, და გამოირკვა, რომ 30 წლის განმავლობაში წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში გამოცვლილა 65 მასწავლებელი. რასაკვირველია, ამათში ბევრი კარგიც იქნებოდა, ბევრი უხეიროც, მაგრამ ცხადია ერთს გარკვეულს სისტემას ან სამეურნეო გეგმას ისინი ვერ შეიმუშავებდნენ და მხნეობით სავსე, ძვირფასი, მაგრამ დილეტანტური მოქმედება ხელმძღვანელისა, ყოველთვის ფუჭად რჩებოდა.

ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმ-ვიათი ენერგია იყო საჭირო, იმის შესაქმნელად რაც ეხლა არის წინამძღვარიანთ-კარში და სხვა „საზოგადო მოღვაწეთა“ რიცხვში, რომელნიც მარტო ენას აცოდვილებენ, ილიას შრომაც დიდი დაუხარჯავს: ჩვენ შეგვიძლიან საქმის ძოყვარულ ახალთაობას მიუთითოთ ილია წინამძღვრიშვილზედ, როგორც იშვიათი გამრჯელობის მაგალითზედ, მაგრამ იმავე დროს არ შეგვიძლიან დავფაროთ, რომ ეს გამრჯელობა, თვით ნაყოფი მისი, უვარგისია.

როდესაც პირველად წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში მივდიოდი, მე მეგონა, რომ თვალით დავინახავდი იმ დიად მოვლენას, რომელსაც საზოგადოთ მოახდენს ხოლმე სამეურნეო სკოლა გარშემო მდებარე ადგილებზედ, ხალხზედ და სხ. მაგრამ წინამძღვარიანთ-კარის მიდამოებში თუ უარესი პრიმიტიული არა, უკეთესი არაფერია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში.

და აი, როგორც შეგვფერის ქართველებს, ამ უცნაური სკოლის იუბილეი გავხადეთ თითქმის ეროვნულ საქმედ, მოვაწყეთ ზეიმით და ისეთი მაღალ-მაღალი სიტყვებით შევეხეთ სკოლის დამაარსებელი, თითქო საქართველო ამ სკოლიდან, როგორც უხვ გულიდან ხვეტდეს სიუხვეს სამეურნეო ცოდნა-სწავლისას, მიწის გულის გადახსნისას და მის სიმდიდრეთა ამოღებისას. ქებათა-ქებისაგან, ქართულ გაზვიადებისაგან,—ჩვენ ხომ არაფერში ზომას არ ვიცავთ არასოდეს,—ყურთა სმენა აღარ იყო იუბილეიზე და ტყუილად კი არ იოხუნჯა ვიღამაც ამოვარდნილ ქარზედ, რომ მოლაპარაკეთა სიტყვებმა „ააყენეს ქარიო“.

ქართველ ერს არასოდეს არ ავიწყდება მადლობა იმისათვის, ვინც ცოტა რამ სარგებლობასაც არას მოუტანს, მაგრამ ქართულ საზოგადოებაში გამეფებულია ერთი უცნაური ჩვეულება, რასაც ქებას დაუწყებენ, ნაკლს ველარსად შეამჩნევენ, რისაც ლანძღვას მიჰყვებიან—კარგს ვერაფერს დაუნანავენ და ასეთი ცალმხრივობის ბრალიცა, რომ ისეთი სიმპატიური საქმენი, როგორიც არის წინამძღვარიანთ-კარის სკოლა, იყინებიან თავის უვარგისობაში და იმის მაგიერ, რომ საერთო და საყვარელ საქმედ გადაიქცნენ, კერძო და სიტყვებით გაბერილ საქმედ რჩებიან.

რ. გაბაშვილი.

უკანსკნელი ამბები

ვეებერთელა მამულის გაყიდვა ბორჩალოში. ჩვენ არა ერთხელ აგვინიშნავს, რომ ქართველების მამული მუდმივ და სისტემატიურად იყიდება და უცხოელების ხელში გადადის. მასთან ისიც შეგვინიშნავ, რომ მიზეზი მამულ-დედულით ვაჭრობისა სხვა და სხვამ. ზოგი მამული იყიდება მისი პატრონის უბრალო შეუჯნებლობის და დაუდევრობის გამო, ზოგი მემამულე სოფლის მამულს ეთხოვება მარტო იმიტომ, რომ ქალაქში მოეწყოს, კაი ნაწილი კი უკულმართ ეკონომიურ პირობების წყალობით იყიდება, შედეგია იმ პოლიტიკისა, რომელსაც ვაწარმოებდით წარსულ მე-XIX საუკუნის განმავლობაში,—მიანებეთ თავი სოფელს, წადით ქალაქებში და სამსახურში ადგილები დაიკავეთო.--რასაკვირველია ამ პოლიტიკის ბუნებრივს შედეგს როდისმე უნდა ამოეყო თავი. და აი დღეს ამას ნათლად ვხედავთ. ვეებერთელა მამულები, დატვირთულნი კერძო და ბანკის ვალებით, ნედოიმკებით, ჯარიმებით, სახელმწიფო გადასახადებით, დაუმუშავებელ მოუვლელი და უპატრონოდ მიგდებული ზედ-ზედ იყიდებიან და გადადიან უცხოელების ხელში. ჩვენი გლეხობაც ამ სწრაფ მობილიზაციას მსხვილ მამულებისა მომზადებული ვერ დაუხვდა. ღატაკი და უსახსრო ქართული სოფელი გულზედ ხელებ დაკრეფილი სევდიანად შეჰყურებს ამ სეირს და ბევრს მათგანს შაურიც არ მოეპოვება, რომ მამულს მიეშველოს და თავისათვის დაიკავოს. საზოგადოდ ქართულ მიწა წყალის მობილიზაციას უმეტეს შემთხვევაში ბუნებრივ სარჩული უდევს — ეკონომიკის რკინის კანონები და ამიტომაც არც ისე გასაკვირველია. მაგრამ შიგა და შიგ ამ გაყიდვაში იმისთანა უცნაურ მაგალითებს წააწყდებით, რომ რაიმე დასკვნის გამოტანა გეძნელებათ და ბევრჯელაც სრულიად იკარგებით.

ამ თვეში ბორჩალოში გაიყიდა ვეებერთელა და მშვენიერი მამული, სივრცით 1100 დესეტინა, ბ. ნიკოლოზ კეზელისა, თავის საყველე ქარხნით, 700 კაი ჯიშის ძროხით, სამეურნეო ინვენტარით და სხვა. მამულს და ყველის ქარხანას კეზელისთვის შემოჰქონდა წელიწადში 20—25 ათასი მანეთი და ბ. კეზელის ფირმა ცნობილი იყო მთელ ამიერ კავკასიაში, როგორც პირველი და საუკეთესო ყველის ქარხანა. მდიდარ მამულის და მთელი ქარხნის მოწყობილობის ღირებულობა უდრიდა არა ნაკლებ ნახევარ მილიონს და გაიყიდა... 200000 მანეთად! ძვირფასი საქმე შეიძინა გერმანელმა პეტრე ამეტერმა. მერე რა ხელსაყრელ პირობებში? როგორც გავიგეთ ნამდვილ წყაროებიდან თანახმად ამ პირობისა პ. ამეტერმა ეს მამული ბანკში უნდა გადააგირაოს, მიიღოს 100.000 მანეთი და 1914 წლის იანვარს გადასცეს ეს ფული ბ. კეზელს. დანარჩენი 100.000 მანეთი პ. ამეტერმა უნდა გადიხადოს 8 წლის განმავლობაში, ე. ი. ამ ფულს პ. ამეტერი გადიხდის მამულის შემოსავლიდან და კიდეც დარჩება ფული საქმის წარმოებისათვის. ერთი სიტყვით ბ. კეზელმა გერმანელ პ. ამეტერს ვეებერთელა მამული და მდიდარი საქმე **აჩუქა**. ამბობენ, როცა კეზელს შეეკითხნენ: „კაცო! რას შვრები, რათ ჰყიდი შენს ნაამაგარ და ძვირფას საქმესო?“ კეზელმა უპასუხა: „გავძეხი, დავიღალე და საქმის ხელმძღვანელობა მომწყინდაო.“

ბ. კეზელს ორი ნათესავი ჰყავს თუმცა უკანასკნელნი ეხვეწებოდნენ ამ პირობებით ჩვენ მოგვეციო, ბ. კეზელმა უცხოელი პ. ამეტერი ირჩია. აი ეს საუცხოვო მაგალითი დღევანდელ ქართველ მემამულის ფსიხოლოგიისა! მშიერია — მამულს სტოვებს, მდიდარია მამულს ჰყიდის. თუ ჩვენ აქამდის ბ. კეზელის საქმით ვკვეხულობდით და თავი მოგვქონდა, რომ ქართველებსაც შეუძლიანთ მსხვილ სამეურნეო წარმოების მოწყობა-გაძღოლა, ეხლა ეს იმედიც გაგვიცრუვდა. ამ მაგალითით ბ. კეზელმა სამწუხარო კვალი დასტოვა ქართულ ეკონომიურ ცხოვრებაში.

———

მცხეთის სამთავროს მონასტერი. ამას წინად ვწერდით, რომ საეკლესიო სკოლების ცნობილმა მღვდელმა ბ. პაშკევიჩმა დიდი სურვილი განაცხადა დაეპატრონოს დამოუკიდებელ მონასტრის საქალებო სკოლას და დაუქვემდებაროს იგი არა ნაკლებ ცნობილ „ეპარქიალურ საბჭოს“ და ამ აქტით, მაგრამ თვით ძველად-ძველ მცხეთის სამთავროს მონასტერსაც თავისი „განათლებული პატრიოტული“ შალაშინი გაავლოს. როგორც გამოირკვა ბ. პაშკევიჩის სურვილი გამოწვეული იყო მითომდა იმით, რომ ამ რამდენიმე წლის წინად საეკლესიო მმართველობის სკოლისათვის დახმარება აღმოუჩენია და ეხლა თხოულობს, რომ სკოლა დაექვემდებაროს „ეპარქიალურ საბჭოს“.

მაგრამ, როგორც შევიტყეთ, ამ მიზეზის გაგების შემდეგ მცხეთის იღუმენიას მაშინვე ფული დაუბრუნებია, და ეხლა არ ვიცით რა ახალ ხრიკს

მიმართავენ ბ. პაშკევიჩი და მისი თანამოაზრენი, რომ კვლავ განიმეორონ თავისი იერიში სამთავროს მონასტერზედ. ის კი გავიგეთ, რომ უკანასკნელნი მაინც არ სცხრებიან და სხვა საშუალებებს მიმართეს, სხვათა შორის უძნელებენ და უკრძალავენ კიდეც მცხეთის მოლოზნებს ქართლში და სხვაგან ფულის, პურის და სხვა მონასტრისათვის საჭირო სურსათის მოკრეფას... ეს მაშინ, როდესაც იმავე დროს რუსის მოლოზნები სრულიად თავისუფლად დაბრძანდებიან საქართველოში და ქართველობაში კაი ფულს აგროვებენ. ერთი სიტყვით ფიქრობენ იქნება სამთავროს ქალთა მონასტერი შიმშილით დავიპყროთო! ალბად ამასაც ადგილობრივ რუს პატრიოტების აზრით „გონიერი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მოითხოვს...

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ ქართველი საზოგადოება და მეტადრე ქართლის მემამულენი ამ შავ დღეებში ყველაფერში დახმარებას აღმოუჩენენ თავის ძველ დედათა მონასტერს, თვითონვე გაუწვდიან ხელს და უხვად მუდმივ შესწირავენ მონასტერს ფულს და ყოველ სურსათს.

შიმშილი საქართველოში. პიროგოვის სახელობის რუს ექიმთა საზოგადოების გამგეობამ მიმართა სახელმწიფო სათათბიროს წევრს კ. ჩხეიძეს წერილით.

ამ წერილში საზოგადოება უჩვენებს, რომ ქუთაისის გუბერნიას მოუსავლობის გამო შიმშილობა მოელის და აღუთქვავს მონაწილეობის მიღებას დამშეულთა დახმარების მოწყობაში. მხოლოდ პიროგოვის საზოგადოება სთხოვს, შეგვატყობინეთ, რამოდენად უჭირს ხალხს, და რანაირი დახმარებაა მათთვის საჭირო, რომლებიც შეუძლიან მოაწყოს პიროგოვის კომისიამ; სთხოვს აგრეთვე უჩვენოს ადგილები და ის პირნი, ვისი შემწეობითაც შეეძლებათ მათ დახმარება მიაწოდონ.

ამის გამო კ. ჩხეიძეს წერილით მიუმართნია კავკასიის საზოგადოებისათვის, რომ მიაწოდონ მას საჭირო ცნობები პიროგოვის საზოგადოებისთვის გადასაცემად.

საინტერესოა, რომელ კავკასიელ საზოგადოებას მიმართა კ. ჩხეიძემ, ალბად თავის დამქაშ სოლოლაკელთა ბანაკს თუ?!. საკვირველია ღმერთმანი, ჩვენი ს. დ. დეპუტატების საქმე, უნდათ ქვეყნიერობა გააბედნიერონ, და მათ სამშობლო ქვეყანაში კი რომ ხალხი შიმშილით იხოცება, ეს მათი ყურადღების ღირსი არ არის. კ. ჩხეიძეს კავკასიის ხალხისთვის რომ არ მიემართნა, ცნობები შემატყობინეთო, უმჯობესი არ იქნებოდა თქვენ გვერდით მყოფ ქუთაისის დეპუტატ ვ. გელოვანისთვის გამოერთმია ყველა ის საჭირო ცნობები, რომელიც მან ამ ზაფხულს ადგილობრივ შეჰკრიბა. მაგრამ მაშინ ხომ თავისი კერძო მურაჯობის ჭიას ვერ დააკმაყოფილებდა.

— —

დიმიტრი მაჩხანელის ხსოვნას. მიმდინარე თვის 16-ში შესრულდა ათი წელი, რაც ქართველ მოღვაწეთა რიცხვს გამოაკლდა ერთი წევრი, დიმიტრი მაჩხანელი. ჩვენმა პრესამ თითქმის დაივიწყა ეს მშვიდი, არა მოყვირალი ადამიანი, თუმცა მას არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი სოფლის ცხოვრების განვითარების კარგს გზაზედ დაყენებაში. ის თითქმის პირველი გაკაცებული მომხრე იყო სინდიკატებისა. ბევრი უსიამოვნება მიიღო მან ამ სარბიელზედ და მასვე შესწირა თავისი სიცოცხლეც. მხოლოდ ერთმა „ხმა კახეთისა"-მ მოიგონა იგი:

> „დიმიტრი მაჩხაანელს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, დიდი ღვაწლი მიუძღვის ქიზიყელთა გამოფხიზლების საქმეში. დიმიტრი მაჩხაანელი თითქმის პირველი კოოპერატორი იყო ჩვენში, მისის მეოხებით დაარსდა ს. ქვემო-მაჩხაანში დუქ, პირველი მომხმარებელი ამხანაგობა.
>
> დიმიტრისავე მეცადინეობით დაარსდა ქვემო-მაჩხაანში ქიზიყელთათვის სავადმყოფო-ქსენონი.
>
> დიმიტრი მაჩხაანელისავე წყალობით ჩაუყარა საძირკველი წიგნთ საცავ-სამკითხველოს და თეატრს სოფელ ქვემო-მაჩხაანში. ქვემო მაჩხაანის ქალთა სამრევლო სასწავლებელიც დიმიტრი მაჩხაანელის უხვი შეწირულების წყალობით გაიხსნა.
>
> სხვაც მრავალი საკეთილო და სასარგებლო ღვაწლი მიუძღვის დიმიტრი მაჩხაანელს ჩვენს წინაშე, ამიტომ მოვალენი ვართ მის გარდაცვალებიდან ათი წლის თავი აღვნიშნოთ რითიმე და მის ხსოვნას პატივი ვსცეთ.
>
> განსაკუთრებით მოვალეა ქვემო-მაჩხაანის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილების გამგეობა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, იკისროს ინიციატივა დიმიტრი მაჩხაანელის

ხსოვნის პატივსაცემად მის გარდაცვალების დღიდან ათის წლის თავზე - 16 ოქტომბერს.

ქართულ ლიტერატურაშიაც შეიტანა მან თავისი ღვაწლი. ისა სწერდა „ივერიაში“, აკაკის „კრებულში“ და „ცნობის ფურცელში“. მიმართულებით „ტეტიათა მოტრფიალეთა“ რიცხვს ეკუთვნოდა. მისი უმთავრესი ნაწარმოებია „ძმური სიტყვა“, დიალექტიური, „სოფლის კუნწულა“ და სხვ.

— —

პროფესორი პ. ი. ბახმეტიევი

რუსეთის მეცნიერთა ჯგუფს დაკლდა ერთი წევრი, პროფ. პ. ი. ბახმეტიევი, რომელიც გარდაიცვალა 14 ოქტომბერს ტვინის არტერიათა სკლეროზისაგან. იგი შედარებით ჯერ ახალგაზდა მეცნიერი იყო - სულ 53 წლისა, და კიდევ ბევრი სამუშაო ედო წინ, რომელიც მას დაუმთავრებელი დარჩა. პრ. ბახმეტიევი დაიბადა 1860 წელს სარატოვის გუბერნიაში, ერთი მებატონის შინა-ყმისაგან. უმაღლესი განათლება ბევრი ტანჯვითა და წვალებით, ხშირად მშიერმა და მწყურვალმა, მიიღო ციურიხის უნივერსიტეტში, სადაც გაათავა ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტი, და სადაც შემდეგ დარჩა პროფესორად; აქედგან იგი გადავიდა ბულგარეთის მთავრობის მიწვევით სოფიის უნივერსიტეტში, სადაც იმუშავებდა 1907 წლამდე, რომლის შემდეგაც იმან დანება იქ თავი და სამუდამოდ დაუბრუნდა თავისს საყვარელ საგანს—ბიოლოგიის. აქ იგი იმუშავებდა ცხოველთა ანატომიის კანონებს. მაგრამ განსვენებულ პროფესორს ამისთვის საკმაო საშუალებანი არა ჰქონდა. ბევრი ცდა და წვალება დასჭირდა მას, რომ საკმაო თანხა შეეგროვებინა საზოგადოების დახმარებით და შანიავსკის სახელობის უნივერსიტეტში საჭირო ლობორატორია მიეღო თავისი შრომის გასაგრძობად. იმას უნდოდა უკვე შესდგომოდა თავისი შრომის დამთავრებას, რომლის წინაც იმოგზაურა და რუსეთის დიდი ქალაქების მოედს რიგში წაიკითხა ლექციები ანატომიის შესახებ. მაგრამ სიკვდილმა არ დაცალა და ბოლო მოუღო ამ მეცნიერ ადამიანს.

ერობის 50 წლის იუბილე. მომავალ 1914 წელს 1 იანვარს სრულდება 50 წელი, რაც უმაღლესად დამტკიცდა რუსეთში ერობა. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო ემზადება ეროვნული ბიბლიოთეკა აღვნიშნოს 50 წლის იუბილე ერობისა. მას უკვე შეუმუშავებია ამისი წესი. ნეტა არ იყოს, ღმერთმა ქნას, ეხლა მაინც დაგვინახონ ერობის ღირსად, და 50 წ. შემდეგ მაინც დააარსონ ჩვენშიაც ეს საჭირო დაწესებულება.

სხვათაშორის განსვენებულმა პროფესორმა წარსულ ენგენისოთვეში ქალ. კიევშიც წაიკითხა ლექცია ანატომიის შესახებ, რომელსაც მეც დავესწარი და შინდა ეხლა მკითხველს მოკლედ გავაცნო იგი:

„16 წლის წინად, —სთქვა თავისს ლექციაში პრ. ბახმეტიევმა,—ბოსტონის უნივერსიტეტმა რწმეიდისა, ბალდინჯოსი, პეპელასი და კალიის ტემპერატურის გამოსაკვლევად მიმიწვია. საკითხის გადასწყვეტად, მე ავიღე ორი წყვილი თმის ბუწვზედ 10-ჯერ კიდევ წვრილი მართული; ერთელ წყვილს თითო მართული (ხიკელისა) შეკავშირებულია მეორესთან (ვლატინისასთან). ამ მართულებს დამოკიდებულება აქვთ რეზენტალის გალვანომეტრთან, რომელიც ამპერის ერთს მბილდიონე ნაწილსაც კი ადნიშნავს. შევადგინე ცხრილები, რომლითაც შეიძლება ეველა ტემპერატურის გაგება.

სულ გამოვიკვლიე 814 პეპელა. ადმოჩნდა, რომ მწერების ტემპერატურა ულრის გარემოს ტემპერატურას ნახევარ გრადუს მიმატებით, და ეს ასე ხდება სითბოს 53 გრადუსამდე, როცა პეპელა ველარ უძლებს და კვდება. ასევე ხდება გარემოს (среда) გაცივებაზედ 9 გრადუსამდე, მაგრამ როცა 10 გრადუსს ცოტა და აკლდებოდა ხოლმე, პეპელას ტემპერატურა ეცბად ადიოდა—|0.

ამ მოგზაურის მიზეზი ბევრი გეძებე და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი რომ აქაც იმ ბგერიგე მოგზაურობა რაგორც წყლის „ზედაპირულ შეცივებისა» (поверхностное натяженіе) დროს: წყალს რომ ზემოდგან პროგინისადგური ზეთი დასხათ, იმისი გაცივება შეიძლება 10 – 15 გრადუსამდე ისე, რომ არ გაიყინოს, რომლის შემდეგაც მასში ჩნდება ეინულის პატარა კრისტალი, რომელიც უფრო და უფრო იზრდება, ამასთანავე

ჩნდება ფარული სითბო და წყლის ტემპერატურაც ადის ისევ 0 გრადუსამდე. მე გამოვიკვლიე 114 სითხე სხვა და სხვა გვარ ჭურჭელში: აღმოჩნდა, რომ ესევე მოვლენა ხდება, როცა სითხე სდგას ძალიან თხელ თმაგვარ (ВОЛОСНЫХЪ) მოგრძო შუშაში. ალბად ამ გვარივე მოვლენა ხდება ჩვენს პეპელას თავზედაც: იმისა სისხლიც ხომ თმაგვარ სისხლის ძარღვებშია.

მერე რად ადის პეპელას ტემპერატურა უცბად—1 გრადუსამდე, და არ 0 გრადუსამდე? იმიტომ რომ აქ სისხლია და არა წყალი. ამის დასამტკიცებლად 1000 მწერი გავშინჯე, და გამოირკვა, რომ მათი სითხე (სისხლი, СОКЪ) იყინება მხოლოდ—1 გრადუსზედ. ერთი გრადუსიდგან დაწყობილი გასაცივებლად განმზადებული პეპელას ტემპერატურა თანდათან დადიოდა იმ წერტილამდე, საიდგანაც უცბად ახტებოდა ხოლმე. ტემპერატურის ამ საზღვრებში, როდესაც გაცივებას ვტოვებდით, პეპელა კვლავ ცოცხლდებოდა, მაგრამ სიცივის ათს გრადუსზედ რომ დადიოდა ის უკვე სამუდამოდ კვდებოდა.

ტემპერატურა—10 გრადუსის ზევით ახტომამდე მე მოვნათლე „კრიტიკულ წერტილად“, ტემპერატურა 0—„სისხლის გაყინვის დაწყების ნორმალურ წერტილად“, ტემპერატურა—10 გრადუსის ახტომის შემდეგ—„მკვდარ წერტილად“.

რადა კვდება მერე პეპელა მკვდარ წერტილზედ? შევეკითხე ჩემს თავს. და შემდეგ დასკვნამდე მივედი: იმიტომ რომ **გაიყინა** და მის ორგანიზმში ნივთიერების შეცვლა აღარ მოქმედობს. ამის დასამტკიცებლად ბუნზენის კალორიმეტრით გამოვიკვლიე, თუ პეპელას სისხლის (СОКОВЪ) რაოდენობა იყინება ამა თუ იმ ტემპერატურაში, აღმოჩნდა, რომ უკვე $4^1/_2$ გრადუსზედ მთელი 100% იყინება, და როდესაც ამ ტემპერატურას ვაშორებდით, იგი ისევ ცოცხლდებოდა. მაშასადამე, $4^1/_2$—10 გრადუსის საზღვრებში პეპელა იყინებოდა, **სიცოცხლით აღარა ცოცხლობდა**, მაგრამ **არა კვდებოდა** კია! ეს იყო წინააღმდეგობა ბიოლოგიის ძირითადი კანონისა, რომლითაც ნივთიერების შეცვლის მოსპობა და სიკვდილი—სინონიმებია, ერთი და იგივეა. აი ამ შუამდგომარეობის სიკვდილ-სიცოცხლის საზღვრებში მე დავარქვი **ანაბიოზი**.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ანაბიოზითვე აიხსნება ის შემთხვევები, როდესაც გაყინულ-გათოშილ მაგრამ ცოცხალ ადამიანებს მარხავენ, შემთხვევები, რომლებმაც აიძულეს სარატოვის ერობა ეთხოვნათ სამინისტროსათვის აკრძალნათ გაყინულთა დამარხვა, მანამ არ გათბობდნენ მათ.

ჩემი დასკვნების შესამოწმებლად მიმართეს ბერლინის და პარიზის მეცნიერებს. ნემცებმა გულ-ცივად შეხედეს ჩემს გამოკვლევებს, ერთმა ფრანგმა მეცნიერმა კი მირჩია დაუკვირვებოდა, ხომ არა ხდებოდა აქ უჯრებ სუნთქვა, როგორც ეს შეამჩნია დიკონოვმა მცენარეებს, მაგრამ როგორც ეს ჩემი ცდებიდგან შემდეგ გამოვარკვიე, არც ეგა ხდებოდა. აქ უჯრედშუა სუნთქვაც უარყოფილია.

ბოსტონის უნივერსიტეტმა შეამოწმა ჩემი დასკვნანი და ისინი მართალნი აღმოჩნდნენ.

თუ რამდენი დრო შეიძლება ანაბიოზის ქვეშ ყოფნა, ამას აჩვენებს შემდეგი მაგალითები: ჩემი პეპლები კვლავ ცოცხლდებოდნენ სამი თვის შემდეგ, დამურა—8 თვის შემდეგ. ამ სამი თვის წინად გამოიკვლიეს ლორწო მამონტის ხორთუმისა, ყურებისა და პირისა, მამონტისა, რომელიც იაკუტის ოლქის გაყინულ ნიადაგში 200000 წელი იდვა; ლორწოში იპოვეს ბაქტერიები, რომლებიც ჩვენს დროში აღარ არსებობენ. ნორდენშილდმა ჩრდილოეთის ზღვაში იპოვა გაყინული ძაღლი, რომელიც არ იციან რამდენი ხანი იყო ისე: ძაღლი გაცოცხლდა იაკუტის ოლქში გაცოცხლდა „რკინის ქალი“, რომელიც გაყინული იდო 8 დღეს... ერთის სიტყვით ანაბიოზის ხანი განუსაზღვრელია.

ანაბიოზის თეორიით შეიძლება აიხსნას **სიცოცხლის წარმოშობაც** ჩვენს დედამიწაზედ. შეიძლება მის პირველი მცხოვრებნი იყვნენ პლანეტთაშუა სივრციდგან გადმოვარდნილი მიკრობები.

მე მოვახდინე ცდა აგრეთვე დამურებსა და თევზებზედაც (ხოფიაში, ასტრახანში და მოსკოვში). მოსკოვის თევზები ყველანი გაცოცხლდნენ, ტარაღანას გარდა. დამურებზედ მოვახდინე 100 ცდამდე. იმათ მკვდარ წერტილად 10 კი არა 9 გრადუსი აღმოჩნდა. ერთს იმათგანს მკერდი გაუჭერი: გული არ უცემდა და გაშეშებული იყო. 45 წუთის შემდეგ გულმა ცემა დაიწყო, და სამი საათის შემდეგ ის მოკვდა, რადგანაც სისხლისაგან დაიცალა. გამოვიკვლიე მათი სპერმატოზოიდები: ისინი უფრო ცოცხალნი და მალხაზნი აღმოჩნდნენ, ვინემ ანაბიოზამდე.

რა პრაქტიკული მოხმარება შეიძლება ანაბიოზისა? ჯერ ერთი მცენარეების გამფუჭებელ მწერების წინააღმდეგ ბრძოლა. კალიის პარაზიტები და მკრაგნელები

ინახებიან ანაბიოზურ კონსერვებათ მათ მოუსვლობამდის და მაშინ მას უშვებენ მცენარის მტრებზე. მიწად-მოქმედების მინისტრის თანაშემწე იგნატიევმა წინადადება მოსცა შეემუშავო დაწვრილებითი პროექტი ამისა.

მეორე, შეიძლება შეინახოს ფუტკრები ანაბიოზით ზამთარში, რომ თაფლს არა სჭამდნენ ისინი. ძალიან საგონებელია, რომ დიდი ფუტკარის სპერმატო-ზოიდები ამასთანავე ინახება და არ იხოცება 4 წლის განმავლობაში. საკითხი მხოლოდ იმაშია, ხომ არა ჰკარგავენ ფუტკრები ადგილის დახსომებისა და სივრცეში გზის გაგნობის ნიჭს, როგორც ეს მოსდიოდათ მავს ჭიებს, როდესაც მათ 7 გრადუსამდე ვაციებდით.

მესამე, სათევზო მრეწველობაში. ასტრახანში მეუბნებოდნენ, უწინ ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს 24000 ფუთი ხიზილალა გაჰქონდათ წელიწადში, ეხლა კი აღარც ერთი, რადგანაც შტატებს აუკრძალიათ რუსეთის ხიზილალის გატანა იმ მიზეზით, რომ მასში ურევენ ბორას, რომ უფრო კარგად შეინახოს იგი. ესევე ეკუთვნის წითელ ხიზილალასაც. ამისი გადაჭრა ადვილია, თუ თევზს საზღვარ გარედ გავგზავნით ანაბიოზურ მდგომარეობაში.

გამოირკვა, რომ წითელი თევზი (ზუთხი, თართი, ტარაღანა) ვეღარა ცოცხლდება ჩვეულებრივი მეთოდით ნაყოფ ანაბიოზის შემდეგ. ის ვერ უძლებს იმ დიდს ნახტომს 10-დგან 0 გრადუსამდე. მაგრამ ამის შველა ადვილია, მხოლოდ უნდა უჩხვლიტოთ ჩვეულებრივი ნემსით, მხოლოდ არა თავში და ბოლოში, მაშინ გამოსულა ერთი წვეთი სისხლი იყინება უცბე 0 გრადუსზედ, და გადაციების კრისტალის მაგიერობას სწევს: იმის შემდეგ ამ ჭრილობის გზით გაყინვა გავრცელდება მთელს სხეულზე უცბე შედარებით მაღალი ტემპერატურის დროს.

უმაღლეს ცხოველებზედ ცდამ ჯერ ვერ მოიტანა სასურველი ნაყოფი: შინაური თაგვი კვდებოდა 18 გრადუსზედ, ძაღლი 22 გრადუსზედ იმისი სისხლისა. ამიტომ ახალი საკითხი აღიძრა, რომ თბილ სისხლიანი ცხოველი გვექცია გადამცვლელ ტემპერატურის მქონე ცხოველად. გამოირკვა, რომ ზოგიერთი ცხოველები ზამთრის ძილს ეცემიან იმიტომ, რომ მათს სისხლში გროვდება ბევრი ნახშირმჟავე და აცეტონი. ამის გამო ეხლა უნდა მოვახდინოთ ახალი ცდა რომ წინადვე ლეტარგიაში მოყვანილმა ცხოველებმა ისუნთქონ ნახშირმჟავიანი ჰაერით. რამდენიმეჯერ ამ გვარმა ცდამ ბაჭიებზედ საკმაოდ კარგად ჩაიარა. ეხლა საზოგადოების უხვი დახმარების შემდეგ შემიძლიან თეთრს თაგვებს და ორანგ-უტანგებზედ გადავიტანო ჩემი გამოკვლევანი.

ეს მეცნიერების მიერ დამტკიცებული ფაქტებია. ეხლა ნება მიბოძეთ ცოტა მეცნიერულ ფანტაზიასაც მივცე თავი. 14 კაცმა (ამათში 5 ქალია) განაცხადეს სურვილი, რომ მოახდინონ მათზე ჩემი თეორიის გამოცდები. ,,თუ დავიხოცებით, — მითხრეს მათ, — თქვენი საწინააღმდეგო არაფერი გვექნება“... შესაძლებელია, რომ ანაბიოზით შეიძლებოდეს მორჩენა ზოგიერთი ავადმყოფობისა. რასაკვირველია, არა სოთვლისა, რადგანაც იმისი მიკრობები მხოლოდ სიცივის 150 გრადუსში იხოცებიან, მაგრამ, მაგალითად, ტუბერკულიოზისა, რადგანაც კოხის ბაცილები უვნებლები ხდებიან, თუ ორი კვირის განმავლობაში სიცივის 6 გრადუს ტემპერატურაში ამყოფეთ.

შეიძლება ამასთანავე ადამიანისა და ცხოველის **ბუნების** შეცვლა ანაბიოზის შემწეობით: საქმე ამაშია, რომ პეპელების ჰვერცხები (КУКОЛЬКА) 2 დღის ანაბიოზის შემდეგ იღებენ უფრო მუქ-ფერს, იმისი ჩამომავლობა ანაბიოზის შემდეგ უფრო მუქ-ფერს და სხვ. ერთი ოჯახი პეპელისა ამ გვარად შეიძლება სხვად შეიცვალოს, მოსკოვში ეხლა მელის ანაბიოზის მდგომარეობაში მყოფი თევზი, რომლის პატარა თევზებიდგან უთუოდ სხვა განსხვავებულს თევზს მივიღებ უსათუოდ, შეიძლება ყველა ეს ნათქვამი ადამიანსაც შეეხებოდეს და იმისი გამოცვლაც შეიძლებოდეს, როგორც ფსიხიურ, ისე ფიზიკური ორგანიზაციის.“

პრ. ბახმეტიევმა თავისი ლექცია ხუმრობით გაათავა, რომ ხანში შესული კაცი, ეხლა ადვილად მოისურვებს, ანაბიოზის მდგომარეობაში შევიდეს, რომ ამ გვარად უცადოს იმ დროს, სანამ რომელიმე ,,მეორე მეჩნიკოვი“ არ გამოიგონებს საშუალებას, მოხუცებულთ ახალგაზრდობა დაუბრუნოს ხელმე.

მაგრამ სიკვდილმა სხვა ისურვა და პატიოსანი მუშაკი და მეცნიერი მოაშორა კაცობრიობას.

გ. ნამორაძე.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მოითხოვეთ ყველგან
კოოპერატიული ღვინო
საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ახხაბადში, ტაშკენთში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი. გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866½ დესეტინა ვენახი, საიდამაც უზიდავენ საზოგადოებას **ნამდვილ კახურ ღვინოს!**

ძალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოვადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება—გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა № 5.